



ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების
გეგმა

ახალციხის მუნიციპალიტეტი
საქართველო

იანვარი
2020

მერის მიმართვა



ახალციხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური გაძლიერება ჩემთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა წარმოადგენს ჩვენს მუნიციპალიტეტის ხედვას, თუ რა მექანიზმებით და როგორ ვგეგმავთ ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობას, ინვესტიციების მოზიდვასა და ახალციხის ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას.

მუნიციპალიტეტის ისტორია, გეოგრაფიული მდებარეობა, მრავალეთნიკურობა, ბუნებრივი რესურსების სიუხვე, ტურისტული, კულტურული და რელიგიური ობიექტები, კლიმატური პირობები, რელიეფი და მიწის სტრუქტურა, ტრადიციულად განვითარებული სოფლის მეურნეობის მიმართულებები, მეწარმეობის დივერსიფიცირება, საინვესტიციო პოტენციალი, საგზაო ინფრასტრუქტურა და არსებული სერვისები იძლევა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური გაძლიერების რეალურ წინაპირობებს. მეორეს მხრივ, ჩვენი მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისთვის, შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში, უაღრესად მნიშვნელოვანია საჯარო და კერძო სექტორის აქტიური დიალოგი და თანამშრომლობა, პრიორიტეტების და საჭიროებების სწორად გამოკვეთა და ღონისძიებების ერთობლივად დაგეგმვა-განხორციელების უზრუნველყოფა.

რამდენადაც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის მიერ ღრმად არის გაცნობიერებული მმართველობის იმ პრინციპების მნიშვნელობა და საჭიროება, რომლებიც უკვე წარმატებით დაინერგა და განხორციელდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. ჩვენთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა დასავლელ პარტნიორებთან თანამშრომლობა და მივიჩნევთ, რომ აღნიშნული გამოცდილების გაზიარება ჩვენთვის ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერების გარანტი იქნება.

მადლობას ვუხდით ყველას, ვინც აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში. ახალციხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ აქტივობებს მოუწოდებ მაქსიმალური ჩართულობისკენ გეგმის განხორციელებაში, ჩვენი მხრიდან გამოვხატავთ მზადყოფნას განვახორციელოთ წინამდებარე ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა და შევასრულოთ ევროკავშირის ინიციატივის ფარგლებში აღებული ვალდებულებები.

პატივისცემით და შემდგომი თანამშრომლობის იმედით,
ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი
ზაზა მელიქიძე

გეგმის ასლის მისაღებად, გთხოვთ, დაუკავშირდეთ:

სახელი, გვარი: ილია ჯარდიაშვილი

თანამდებობა: I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის სამსახურის ხელმძღვანელი

მისამართი: ქ. ახალციხე მერაბ კოსტავას ქ. N18

ტელეფონი: 595 88 88 44

ელ-ფოსტა: ilia.zardiashvili@akhaltsikhe.gov.ge

მოკლე შეჯამება

წინამდებარე ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა მომზადებულია ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პარტნიორების მიერ, ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნეს სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების თანაბარი ჩართულობით, რომლის ფარგლებშიც გამოვლენილი იქნა უმთავრესი ეკონომიკური მიმართულებები, ეფუძნება საუკეთესო ევროპულ პრაქტიკასა და მიდგომებს, მიმართული კერძო სექტორის ზრდისაკენ, რათა საბოლოო ჯამში ხელი შეეწყოს ადგილობრივ განვითარებასა და დასაქმებას.

გეგმის შემუშავების პროცესში განხორციელდა განვითარების შესაძლებლობების და საჭიროებების სიღრმისეული კვლევა, შემუშავდა SWOT ანალიზი და მთავარი დასკვნები. ეკონომიკური ზრდის მისაღწევად მნიშველოვანია ისეთი სისუსტეების დაძლევა, როგორცაა არასაკმარისად განვითარებული ბიზნეს ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, ადგილობრივი სამუშაო ძალის მიგრაცია, ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი მუნიციპალური სერვისების სიმცირე, ბიზნეს სექტორში ტექნოლოგიებისა და ცნობიერების არასათანადო დონე, მუნიციპალიტეტის დაბალი ცნობადობა და სხვა.

შემუშავდა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ხედვა: *ახალციხის მუნიციპალიტეტი განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურითა და დივერსიფიცირებული მეწარმეობით მიმზიდველი ადგილია სტუმრობის, სამუშაოდ და ბიზნესის საკეთებლად.* ხედვის მისაღწევად განისაზღვრა მუნიციპალიტეტის მთავარი მიზნები: *ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება; ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია; სამეწარმეო უნარების განვითარება.*

მიზნების მისაღწევად დაისახა შემდეგი ღონისძიებები: *ქ. ახალციხეში საფეხმავლო ბილიკების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი სკვრებისა და პარკების მოწყობა; ხალხური რეწვის ოსტატების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა; ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა; დაინტერესებული პირების ტრენინგი ბიზნესის საფუძვლებში; მცირე გრანტების გაცემა.*

გეგმა ასევე მოიცავს ღონისძიებებისთვის საჭირო დაფინანსების სავარაუდო რაოდენობასა და წყაროებს. გეგმის განსახორციელებლად პარტნიორობის მიერ მობილიზებული იქნება 2.1 მლნ ლარი (755 ათასი ევრო). ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოიყოფა 650000 ლარი (232 ათასი ევრო). სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება 1.4 მლნ ლარის (509 ათასი ევრო) სამუშაოები. გეგმის განხორციელებაში კერძო სექტორის მონაწილეობა შეადგენს 20 ათასს ლარს (7.1 ათასი ევრო).

2. შინაარსი

მერის მიმართვა

1. მოკლე შეჯამება

2. შინაარსი

3. ცხრილები და აბრევიატურები

3.1 ცხრილები

3.2 გრაფიკები

3.3 დანართები

3.4. აბრევიატურები

4. გეგმის შესავალი

5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

6.1. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი

6.2. ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის აგება

6.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია

6.4. წვდომა ფინანსებზე

6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა

6.6. საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები

6.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა

6.8. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი

7. SWOT ანალიზი

8. ხედვა და მიზნები

9. სამოქმედო გეგმა

10. დაფინანსების სქემა

11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

დანართები

დანართი 1. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი;

დანართი 2. მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მაჩვენებლები

დანართი 3. საწარმოთა კლასიფიკაცია ეკონომიკური საქმიანობის და ზომის მიხედვით

დანართი 4. ადგილობრივი თანამშრომლობის შეფასება

დანართი 5. ზარდი სექტორები (ქვესექტორები) და მათი გამოწვევები

დანართი 6. ბიზნეს სექტორის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა

დანართი 7. მუნიციპალიტეტში მცხოვრები. მოსახლეობის რაოდენობა

3. ცხრილები და აბრევიატურები

3.1. ცხრილები

ცხრილი 1. სამოქმედო გეგმა

ცხრილი 2. დაფინანსების სქემა

ცხრილი 3. ქმედებების შიდა მონიტორინგის გეგმა

3.2. აბრევიატურები

LEDP - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა

SWOT - ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები

4. გეგმის შესავალი

ახალციხის მუნიციპალიტეტი, მუნიციპალიტეტის მერის ხელმოწერით 2018 წლის 25 აპრილში შეურთდა ევროკავშირის ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ და გამოთქვა მზადყოფნა მჭიდროდ ითანამშრომლოს ბიზნესთან და სამოქალაქო საზოგადოების თემებთან, ჩამოაყალიბოს პარტნიორული ურთიერთობები, ხელი შეუწყონ მდგრადი და ინკლუზიური ადგილობრივი ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას, განვითარებას და სამუშაო ადგილების შექმნას.

ახალციხის მუნიციპალიტეტი მდებარეობს სამხეთ საქართველოში, ქალაქი ახალციხე მუნიციპალიტეტისა და სამცხე-ჯავახეთის მხარის ადმინისტრაციული ცენტრია, რომელიც საქართველოს დედაქალაქიდან – თბილისიდან დაშორებულია 207 კმ-ით (2 სთ და 40 წუთის სავალი დროით). მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ხარაგაულისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტები, აღმოსავლეთიდან ბორჯომისა და ასპინძის, სამხრეთის საზღვარი ემთხვევა საქართველო – თურქეთის სახელმწიფო საზღვარს, ხოლო დასავლეთიდან ესაზღვრება ადიგენის მუნიციპალიტეტი.

ახალციხის მუნიციპალიტეტი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზაჯვარედინია, ქალაქ ახალციხეს კვეთს ისეთი საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზები როგორცაა: ხაშური-ახალციხე-ვალეს (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზა და ახალციხე-ნინოწმინდის (სომხეთის საზღვარი) საავტომობილო გზა, აგრეთვე ხაშური - ვალეს 91 კმ.-იანი სარკინიგზო მაგისტრალის 36,6 კმ.-იანი მონაკვეთი. მანძილი ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრიდან ბათუმამდე – 168კმ-ია, სომხეთის საზღვრამდე (საბაჟო გამშვები პუნქტი - ნინოწმინდა“) – 89კმ და თურქეთის საზღვრამდე (საბაჟო გამშვები პუნქტი - „ვალე“) – 12კმ.

მუნიციპალიტეტის ფართობი - 1010,3 კვ.კმ-ია, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 48,65 კვ.კმ. მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 38,4% ტყით არის დაფარული. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეულია ქალაქები ახალციხე და ვალე, ასევე 46 სოფელი, რომელთაგან 33 გააჩნია მაღალმთიანი დასახლების სტატუსი.

რიგი უმნიშვნელოვანესი მიმდინარე პროექტები მუნიციპალიტეტის გარშემო, მაგალითად კურორტ აბასთუმნის რეაბილიტაცია, ქუთაისი - აბასთუმნის საავტომობილო მაგისტრალის რეკონსტრუქცია - მშენებლობა და სხვა, ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს უხსნის ახალციხის მუნიციპალიტეტს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის „ბაქო-ტბილისი-ჯეიჯანის“ ნავთობსადენი და ტრანსკავკასიური გაზსადენი.

მოსახლეობა 2019 წლის პირველი იანვრის მონაცემებით შეადგენს - 39,400 კაცს, მათ შორის მამაკაცები - 48,07%. ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის 56,79% (მათ შორის 42,20% - ქ.ახალციხეში და 14,59% - ქ.ვალეში). შრომისუნარიანი, ანუ 15-დან 65 წლამდე ასაკის მოსახლეობა შეადგენს 65,10%-ს, აქედან ქალი - 48%. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენს 4019. ბოლო წლების განმავლობაში კიდევ უფრო მზარდია მიგრაციის ტენდენცია, განსაკუთრებით ეს ეხება ახალგაზრდა, კვალიფიციურ და შრომისუნარიან მუშახელს, რომლებიც სამუშაოდ მიდიან საქართველოს დიდ ურბანულ დასახლებებში და უფრო განვითარებულ ქვეყნებში იქ არსებული დასაქმების შესაძლებლობებისა და სათანადო ანაზღაურების გამო. კიდევ ერთი უარყოფითი ტენდენცია მოსახლეობის დაბერებას უკავშირდება. მუნიციპალიტეტში მამაკაცის საშუალო ასაკი 35,9-ია, ხოლო ქალის - 40,1 წელი. სოფლის ტიპის დასახლებებში მაღალია მოსახლეობის დაბერების მაჩვენებელი და მუნიციპალიტეტის ბუნებრივი მატების დადებითი სალდო ადმინისტრაციული ცენტრის - ქ. ახალციხის გაახალგაზრდაების პროცესით აიხსნება, რასაც ხელს უწყობს ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტის

ადმინისტრაციული ცენტრი საცხოვრებლად და დასაქმების პერსპექტივით მიმზიდველია არამარტო მუნიციპალიტეტის სოფლად მცხოვრები შრომისუნარიანი მოსახლეობისთვის არამედ, მეზობელი მუნიციპალიტეტების მოსახლეობისთვისაც.

COVID-19 ახალ გამოწვევად იქცა მუნიციპალიტეტისათვის. ტურიზმი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სწრაფად მზადი სექტორი იყო ეპიდემიამდე და სულ უფრო მეტი ადამიანი საქმდებოდა სექტორში. დღეს მუნიციპალიტეტს თავიდან აქვს გასააზრებელი მისი ტურისტული შესაძლებლობები და სექტორის მხარდამჭერი პოლიტიკა.

წინამდებარე ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა შემუშავდა სპეციალურად „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ინიციატივისთვის, ეს არის კერძო და საჯარო სექტორთან მჭიდრო დიალოგით შექმნილი გეგმა, რომელიც ფოკუსირებულია კერძო სექტორის განვითარებაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას ეკონომიკური ზრდა, განვითარება და დასაქმება. დოკუმენტი ეხმიანება, თანხვედრაშია მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების პრიორიტეტების დოკუმენტთან და საქართველოს სოციალური-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან „საქართველო 2020“.

გეგმა შემუშავებულ იქნა კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, თანასწორობის პრინციპით ჩართული ადგილობრივი ხელისუფლების, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლების პარტნიორობით.

გეგმაში გაწერილი ღონისძიებებისათვის საჭირო თანხების 31% დაფინანსებული იქნება ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან და ასახულია ადგილობრივ ბიუჯეტში პროგრამებისა და ქვეპროგრამების სახით. მაღალი დონის ბიუჯეტიდან მისაღებ დაფინანსებაზე შეთანხმება მიღწეულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან. გეგმის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებს მუნიციპალიტეტის კერძო სექტორიც.

5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავება მოხდა მერის უშუალო მონაწილეობით, ადგილობრივ ხელისუფლების, ბიზნეს სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით. მერის ბრძანებით მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ოფიცერის მონაწილეობით შეიქმნა გეგმის შემუშავებელი ჯგუფი. სამუშაო ჯგუფის შედმადგენლობის შეთანხმება მოხდა პარტნიორებთან. სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტდა 4 მონაწილით 1 ბიზნეს სექტორიდან, 1 სამოქალაქო საზოგადოებიდან, 2 მუნიციპალიტეტიდან.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პარტნიორობა დაკომპლექტდა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებით დაინტერესებული მხარეებისგან. მასში შევიდა იმ ორგანიზაციების წარმომადგენლები და ინდივიდები ვისაც გავლენის მოხდენა შეეძლო მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებაზე და ვინც ყველაზე მეტ სარგებელს მიიღებს ახალციხის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებიდან. პარტნიორობის წევრებს შორის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენლები უმცირესობაში არიან კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან შედარებით. პარტნიორობაში 7 წევრია, მათგან 4 ქალია. გადაწყვეტილებებს პარტნიორობა იღებს ხმების უბრალო უმრავლესობით.

სამუშაო ჯგუფსა და პარტნიორობას შორის გეგმაზე მუშაობის პერიოდში ინტენსიური კონსულტაციები იმართებოდა. ჩატარდა შეხვედრები ეკონომიკის ცალკეული სექტორების, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებისა და მუნიციპალიტეტში შემავალი დასახლებების წარმომადგენლებთან. შეხვედრები გაიმართა სამცხე-ჯავახეთის

სახელმწიფო უნივერსიტეტის, პროფესიული სასწავლებლების, საშუალო სკოლების დამამთავრებელი კლესების სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მმართველობითი სტრუქტურის და მეზობელი მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი სტრუქტურების წარმომადგენლებთან. სულ გაიმართა 10 შეხვედრა.

დაინტერესებული მხარეების, მუნიციპალიტეტის საზოგადოების და კერძო სექტორის წარმომადგენელთა მოსაზრებების შესასწავლად გამოყენებული იყო როგორც პირისპირ შეხვედრები და გამოკითხვები, ასევე ონლაინ კომუნიკაციის საშუალებები, განსაკუთრებით გეგმის მომზადების ბოლო ეტაპზე პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების პირობებში.

6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

6.1. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი: ახალციხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკა ძირითადად წარმოდგენილია ვაჭრობის, ტურიზმის, გადამამუშავებელი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და მომსახურების სფეროებით.

ახალციხის მუნიციპალიტეტი და მისი ადმინისტრაციული ცენტრი წარმოადგენს მნიშვნელოვან სავაჭრო გზაჯვარედინს მეზობელი მუნიციპალიტეტებისთვის, რის გამოც მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში დომინირებული წილი უკავია ვაჭრობას, რაზედაც მეტყველებს დანართში მოცემული დიაგრამა.

ქალაქი ახალციხე - საუნივერსიტეტო ქალაქია, რაც ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია შიდა (რეგიონული მასშტაბის) მიგრაციისა, ასევე მაღალია ახალგაზრდების მიგრაციისა სხვა რეგიონებში (ძირითადად ქალაქ თბილისში) განათლების მისაღებად.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 1 მაისის მონაცემებით, ახალციხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 2752 ერთეული საწარმო და მეწარმე ფიზიკური პირი, ხოლო მათ შორის აქტიურია 1170 ერთეული, რომელთა მიერ ადგილობრივი ეკონომიკის გადანაწილება მოცემულია დანართში.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკის იმედის მომცემ დარგს წარმოადგენს ტურიზმი, რაზეც მეტყველებს დანართში მოცემული ინფორმაცია მუნიციპალიტეტში ვიზიტორთა რაოდენობის და სტრუქტურის შესახებ. ტურისტული ნაკადის სტაბილური ზრდის კვალდაკვალ მუნიციპალიტეტში აქტიურად ვითარდება შესაბამისი მომსახურების მიმწოდებელი ბიზნესი, კერძოდ 2015 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა 32 სასტუმრო, რომელთა საერთო სიმძლავრე 942 საწოლს წარმოადგენდა ხოლო 2019 წლის 1 მაისის მდგომარეობით აღნიშნული მონაცემი გაზრდილია 49 ერთეულამდე, საერთო სიმძლავრით 1300 საწოლი. სასტუმროების რაოდენობრივი ზრდა განპირობებული იყო მცირე საოჯახო ტიპის სასტუმროების შექმნით, რაც ასევე ხაზს უსვამს მუნიციპალიტეტში მიკრო და მცირე მეწარმეობის აქტიური ზრდის ტენდენციას.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია ადგილობრივი ტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით რეგულარულად მართავს წამახალისებელ ღონისძიებებს, როგორცაა ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობის მიღება, საინფორმაციო ბროშურების ბეჭდვა, მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ღონისძიებების კალენდარის შექმნა - გავრცელება და სხვა. ახალციხის მუნიციპალიტეტი, საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად მონაწილეობდა საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებზე საქართველოში და ქვეყნის გარეთ. 2016 წლიდან, ქალაქი ახალციხე გახდა მსოფლიო ალიანსის - „მსოფლიო ახალციხეები“-ს სრულუფლებიანი წევრი. ალიანსი მიზნად ისახავს მსოფლიოში არსებული ქალაქების სახელწოდებით „ახალციხეების“ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობას, რომლის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტული მიმართულებაა ტურიზმი. ალიანსში მონაწილე ქალაქების მაცხოვრებლებს (პროექტში ჩართული ქვეყნები: აშშ,

იაპონია, გერმანია, შვეიცარია და საქართველო) შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ სხვადასხვა სახის ფასდაკლებებით აღნიშნულ ქალაქებში მოგზაურობისას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ახალციხის მუნიციპალიტეტის ცნობადობას საერთაშორისო დონეზე.

მუნიციპალიტეტის და ახალციხის ციხის ადმინისტრაციის ორგანიზებით პერიოდულად ტარდება ტურისტების სამ ენოვანი გამოკითხვა ახალციხის ციხის ტერიტორიაზე, რის შედეგადაც ტურისტების მიერ აღნიშნულ იქნა საინფორმაციო მანიშნებლების ნაკლებობა. შესაბამისად, ახალციხის მერიამ და ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ერთობლივად დაამონტაჟეს ქალაქში არსებული ტურისტული ინტერესის მქონე ობიექტების მიმართულებების განმსაზღვრელი 17 საინფორმაციო-საორიენტაციო მანიშნებელი, 4 მანათობელი კონსტრუქცია ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლების და ქალაქის რუქის მითითებით. ასევე დასახელებულ იქნა რეკრეაციული სივრცეების ნაკლებობა, ახალციხის ტბაზე მოეწყო სავარჯიშო გამაჯანსაღებელი კომპლექსი, სადაც ასევე შესაძლებელია თევზაობა და ნაგების და წყლის ველოსიპედის მომსახურებით სარგებლობა. ახალციხის მერია პერიოდულად აწვდის განახლებულ ინფორმაციას მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული პოტენციალის შესახებ ტურისტულ სააგენტოებს.

COVID-19-მა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა ტურიზმის სექტორი და მუნიციპალიტეტის ხელისუფლება. მოქმედი კანონმდებლობით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მხოლოდ ქონების გადასახადი შედის, მის გადახდაზე სახელმწიფომ მორატორიუმი გამოაცხადა. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს მოაკლდა ეს შემოსულობები, მაგრამ ძირითადი პრობლემა ტურიზმში მოქმედი ბიზნესის შემოსავლების შემცირება და სამუშაო ადგილების დაკარგვაა. შემდეგი 2 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტი და ბიზნესი შიდა ტურიზმსა და სტანდარტების გაუმჯობესებაზე გააკეთებს აქცენტს.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოსახლეობის საკუთრებაშია 13500-მდე მსხვილფეხა პირუტყვი, 2,300-მდე ღორი, 1,600 თხა და ცხვარი და 93,000 ფრთა ფრინველი. წარმოებული ყველის და კვერცხის რეალიზაცია ხდება ადგილობრივ, რეგიონის და დედაქალაქის ბაზარზე. მუნიციპალიტეტში მოქმედი, მეცხოველეობით დაკავებულ მეურნეობათა მიერ წარმოებული პროდუქციის გასაღების ძირითად ბაზარს წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობა და სასტუმრო - რესტორნები, მათ მიერ 2018 წელს წარმოებული ხორცის მოცულობა ასახულია დანართში არსებულ დიაგრამაზე; ხოლო მეცხოველეობის ფერმებსა და შინამეურნეობებში წარმოებული ნედლი რძის მოცულობამ შეადგინა 13,8 ათასი ტონა, აქვე წარმოებულმა მატყლმა კი 5,7 ტონა. მუნიციპალიტეტში 3000-მდე ფუტკრის ოჯახი ირიცხება, სადაც წარმოებული თაფლის მოცულობა 2018 წლის მონაცემებით 56,5 ტონას შეადგენს. როგორც მეცხოველეობის (ძირითადად მესაქონლეობის), ისე მეფუტკრეობის განვითარებას და საშუალოზე მაღალ პროდუქტიულობას ხელს უწყობს ზაფხულის პერიოდში ფერმერთა რეგულარული მომთაბარეობა ალპურ სამოვრეებზე, მაგრამ ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მცირე ზომის ხორცის და თაფლის გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა, რაც ადგილობრივი წარმოების გასაღების ბაზრების დივერსიფიკაციას შეუწყობს ხელს.

ნოყიერი ალპური სამოვრეები და კლიმატური პირობები მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია მერძეული მიმართულების მეცხოველეობის განვითარებისა, რაც თავის მხრივ ნედლი რძის გადამამუშავებელი სექტორის განვითარების უდიდეს შესაძლებლობებს ქმნის, ამას ემატება ის გარემოებაც რომ მუნიციპალიტეტში არსებული 46 დასახლებული პუნქტიდან 33-ს გააჩნია მაღალმთიანი დასახლების სტატუსი რაც მთელ რიგ საგადასახადო შეღავათებს სთავაზობს აღნიშნული სექტორის განვითარებით დაინტერესებულ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებს. მიუხედავად აღნიშნული ხელშემწყობი ფაქტორებისა რძის გადამამუშავებელი სექტორი სტაგნაციაშია, არ ვითარდება, რაც განპირობებულია იმ

გარემოებით, რომ შინამეურნეობები, რომლებიც ნედლი რძის ძირითადი მწარმოებლები არიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, განსხვავებით ნედლი რძის გადამამუშავებით დაკავებული სამეწარმეო სუბიექტებისა, არ ექვევნიან საქმიანობის მარეგულირებელი სტრუქტურების ზედამხედველობის ქვეშ.

მრეწველობის დარგში მოქმედი 492 სამეწარმეო სუბიექტი ძირითადად წარმოდგენილია ვაჭრობის სფეროში მოქმედი ბიზნეს ერთეულებით, აქვე გვხვდება, საშენი მასალებისა და ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობის, ავეჯის საწარმოებით, უალკოჰოლო სასმელების ჩამომსხმელი ქარხნებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასევე მდებარეობს თერმული წყლებიდან ხდება CO₂-ის მოპოვება, რომელიც სრულად გამოიყენება კომპანია „კოკა-კოლა“-ს მერ.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში მოქმედ პროექტ „დანერგე მომავალი“-ს დაფინანსებით შეიქმნა რამოდენიმე ინტენსიური კაკლის ბაღი, რომელიც აქტიურად ვითარდება, ასევე აქტიურად მიმდინარეობს კენკროვანი კულტურების (ყოლი, ლურჯი მოცვი) მასიური გაშენება, რაც გამოიწვია ამ კულტურებისადმი ყოველწლიურად მზარდმა მოთხოვნამ.

მნიშვნელოვანი წვლილი აქვს ღია გრუნტში სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველად წარმოებას. ჯამურად 2000 ჰექტარზე მოჰყავთ მწვანილი და ბოსტნეული.

რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრი - ქალაქი ახალციხე, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ხელსაყრელ წინაპირობას ქმნის რეგიონული მასშტაბის ლოგისტიკური ცენტრის განვითარებისა, რაზეც მეტყველებს ის გარემოება რომ მუნიციპალიტეტში არსებულმა ტერმინალმა უკანასკნელი 2018 წლიდან დღემდე 2-ჯერ გაზარდა საწარმოო ფართი.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ქალაქი ახალციხე წარმოადგენს არამარტო ახალციხის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების, არამედ მეზობელი მუნიციპალიტეტებში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ბაზარს, აქვე ხდება მათი „სამომხმარებლო კალათის“ შევსება და ის, რომ მუნიციპალიტეტის ცენტრი წარმოადგენს როგორც სატრანსპორტო, ისე ტურისტულ გზაჯვარედინს - ხაზს უსვამს ახალციხის მუნიციპალიტეტის დიდ საინვესტიციო პოტენციალს.

COVID-19-მა ახალი მოთხოვნები გააჩინა სავაჭრო სფეროში და ადგილობრივი პროდუქციის წარმოება გადამამუშავებაში. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და ბიზნეს სექტორი გეგმის შემუშავების პროცესში შეთანხმდნენ, რომ ერთად იმუშავებენ გამოწვევების დასაძლევად.

6.2 ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური ურთიერთობები: ბიზნეს კომპანიებს შორის თანამშრომლობის ქსელი ნაკლებადაა ჩამოყალიბებული, შეიძლება ითქვას განვითარების საწყის ეტაპზეა, რეგისტრირებულ საწარმოთა შორის გვხვდება სხვადასხვა დარგში მოქმედი მეწარმე სუბიექტების გაერთიანება - ასოციაციები, რომელთა დიდი ნაწილი სამეწარმეო ან არასამეწარმეო სუბიექტად დარეგისტრირდა კონკრეტულ საგრანტო რესურსის მოპოვების მიზნით და წარუმატებლობის გამო ასოციაციების ფუნქციონირება აღარ გაგრძელებულა.

ბიზნესის წარმომადგენლები ერთმანეთისთვის ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარებას სპონტანური შეხვედრებისას ახდენენ.

სოფლის მეურნეობაში არსებობს გარკვეული სტრუქტურირებული თანამშრომლობის გამოცდილება, რაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების არსებობაში გამოიხატება. დაახლოებით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების, სახელმწიფო ინიციატივებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით აქტიურად მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა და მსგავსი ტიპის თანამშრომლობის წახალისება. სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციები და პროგრამები ხელს უწყობენ სასოფლო-სამეურნეო

კოოპერატივებს არა მხოლოდ ფინანსურ გაძლიერებაში, არამედ კვალიფიკაციის ამაღლებაში ერთობლივი ტრენინგებისა და სწავლებების გზით. შესაბამისად, იქმნება ერთგვარი პლათფორმა, სადაც სხვადასხვა კოოპერატივების წარმომადგენლებს ეძლევათ ერთმანეთთან საუბრისა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა. ამჟამად, მუნიციპალიტეტში ENPARD-ის ფინანსური მხარდაჭერით (72,700 ევრო) 5 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი მოქმედებს.

რაც შეეხება თანამშრომლობას ბიზნეს ოპერატორებსა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციას შორის - არსებობს ურთიერთობის გარკვეული გამოცდილება. რეგულარულ ხასიათს ატარებს მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივა სამშენებლო სექტორში მოღვაწე ბიზნესის წარმომადგენლებისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის შეხვედრები, რომელთა ფარგლებშიც ხდება კონკრეტული შესაძლო დაფინანსები წყაროებზე ინფორმაციის მიწოდება.

მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტში შექმნილია მერის მრჩეველთა, ახალგაზრდული და გენდერული საბჭოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების ჩართულობით თანამშრომლობა საზოგადოებრივ სექტორთან უფრო ფორმალურ ნაბიჯებად აღიქმება.

ბიზნეს სექტორთან და სამოქალაქო საზოგადოებებთან შეხვედრებისას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მუდმივ მზადყოფნას აცხადებს კერძო და საჯარო თანამშრომლობის ჩამოყალიბებაზე, ერთობლივი პროექტების განხორციელებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს კერძო სექტორის წარმომადგენლების კვალიფიკაციის ზრდას, მუნიციპალიტეტის იმიჯის ამაღლებას, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას და ფინანსური წყაროების მოზიდვას. თანამშრომლობის გაუმჯობესება, მეგობრულ პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება დაარღვევს ბიზნესის არსებულ კარჩაკატილობას და ერთობლივი ქმედებებით ხელს შეუწყობს ადგილობრივი კერძო სექტორის ზრდას.

6.3. ბიზნესის ხელშეწყობაზე ორიენტირებული, გამჭვირვალე და კორუფციისგან თავისუფალი ადმინისტრაცია: ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის პრიორიტეტს წარმოადგენს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების გაზრდისა და ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის ღიაობის ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვასა და კორუფციის დონის შემცირებას საჯარო ადმინისტრირების პროცესში.

ჩატარებული შეხვედრებიდან იკვეთება რეკომენდაციები: ინფორმაციის ინტერაქტიულ რეჟიმში მიღების შესაძლებლობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეფერხებების აღმოფხვრა და სანებართვო საქმისწარმოების გამარტივება.

მუნიციპალიტეტი არის „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) ინიციატივის წევრი და აღებული აქვს ვალდებულება ხელი შეუწყოს გამჭვირვალობას, სამოქალაქო უფლებების გაზრდას, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას მმართველობის პროცესში. მუშავდება ვებ-გვერდის პლატფორმა ინტეგრირებული ელექტრონული სერვისებით და ინტერაქტიული რუკით, რომელიც საშუალებას მისცემს მომხმარებელს სრულად მიიღოს ინფორმაცია მერიის მიერ დაგეგმილი ყველა აქტივობის, სერვისისა და პროექტის შესახებ.

გათვალისწინებით იმისა რომ მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო და ტურისტულ სექტორი, დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს, სახელმწიფო, კერძო თუ არასამთავრობო სექტორის კვლევა რომელიც დაინტერესებულ პირებს შესთავაზებს ინფორმაციას ყველა შესაძლო რესურსის შესახებ, როგორც უშუალო შეხვედრებისას ინფორმაციის გაზიარების გზით, ისე მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის საჯარო განთავსებით.

გამჭვირვალე და კორუფციისგან თავისუფალი მმართველობის უზრუნველყოფისათვის შექმნილია სამოქალაქო ჩართულობის პორტალი, მერიის სერვისების ვებ-პორტალი და

ელექტრონული პეტიციის სისტემა. უახლოეს მომავალში დაგეგმილია ბიუჯეტის მონაწილეობით დაგეგმვის მექანიზმებისა და ბიუჯეტის ხარჯვის სამოქალაქო კონტროლის მექანიზმის დანერგვა. შემუშავების პროცესშია მერიის გამჭვირვალობისა და ანტიკორუფციული სტრატეგია.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია ცდილობს ხელი შეუწყოს ბიზნეს სექტორის განვითარებას სხვადასხვა საქმიანობების განხორციელებით, რისთვისაც მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით ავითარებს ინფრასტრუქტურას, რათა მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორია თანაბრად მიმზიდველი იყოს ახალი ბიზნეს-იდეების განხორციელებისათვის.

ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ტენდერების შესახებ განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია საკუთარი სატენდერო წინადადების წარდგენა. სატენდერო კომისიის საქმიანობა გამჭვირვალეა და ყველა გადაწყვეტილება აიტვირთება სააგენტოს ვებ-გვერდზე.

მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლებით გაცემა ან პრივატიზება ხორციელდება ელექტრონული აუქციონის მეშვეობით, საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გასაცემი ქონების მონაცემები თავსდება ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები ღიაა მოქალაქეებისთვის და მათ შეუძლიათ წარმოადგინონ შენიშვნები და ინიციატივები. თუმცა, ბიზნესის წარმომადგენლების მხრიდან საკრებულოსადმი მიმართვების რაოდენობა საკმაოდ მცირეა. მოქმედებს მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი რომლებიც აქტიურად აშუქებს ადგილობრივ სიახლეებს და მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მუშაობას.

6.4. ფინანსების ხელმისაწვდომობა: ფინანსური რესურსის მოძიება ძირითადად შესაძლებელია კომერციულ ბანკებში, მიკროსაფინანსო და დონორ ორგანიზაციებში. ასევე მოქმედებს სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც ფინანსური რესურსით მხარდაჭერას მოიცავს.

ქალაქ ახალციხეში განთავსებულია საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგიონული ფილიალები, მათ შორის საკმაოდ მაღალი კონკურენციისა, ადგილობრივი ბიზნესის ფინანსური ხელმისაწვდომობისთვის მთავარ შემაფერხებელ გარემოებას სესხით მომსახურების საპროცენტო განაკვეთია.

2014 წლიდან, მცირე და საშუალო ბიზნესისა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობის მიზნით, დაიწყო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომელიც ითვალისწინებს მეწარმე-სუბიექტებისთვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობას, უძრავი ქონებით უზრუნველყოფასა და საკონსულტაციო მომსახურებას.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები უზრუნველყოფის გარეშე გასცემენ მხოლოდ მცირე ბიზნეს-სესხებს, მოთხოვნა მეტი ოდენობის სესხებზე იზრდება და ბიზნეს კომპანიები სირთულეებს აწყდებიან სესხებისათვის საჭირო უზრუნველყოფის თვალსაზრისით (ლიკვიდურობის დაბალი ხარისხის).

6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა: ბოლო წლებში ბიზნესის განვითარების ტენდენციის პარალელურად იზრდება მოთხოვნა შენობა-ნაგებობებზე, მიწასა და ინფრასტრუქტურაზე. გაზრდილი მოთხოვნის პარალელურად მწვავე პრობლემად რჩება არარეგისტრირებული მიწის ნაკვეთები და ცდომილებები საკადასტრო მონაცემებში (საზღვრებში).

უძრავი ქონების მომხმარებლების მიზანს, ახალციხის ეკონომიკის ძირითადი მიმართულებებიდან გამომდინარე წარმოადგენს საცხოვრებელი, კომერციული და სასოფლო-სამეურნეო ფართები.

სასოფლო-სამეურნეო სექტორის წამახალისებელი სახელმწიფო პროგრამების გამო მნიშვნელოვნად არის გაზრდილი მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო ფართობია 48,7 ათასი ჰექტარი, აქედან კერძო საკუთრებას შეადგენს 7,0 ათასი ჰექტარი, მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია 145,6 ჰა. დანარჩენი ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შემდეგნაირადაა არის განაწილებული: სახნავ-სათესი 9,8 ათასი ჰა, მრავალწლიანი ნარგავები 1,1 ათასი ჰა, სათიბი 6,0 ათასი ჰა და საძოვარი 31,8 ათასი ჰა.

კერძო სექტორში არსებული 7,0 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან 2018 წელს დამუშავებულ იქნა 5,15 ათასი ჰა, საიდანაც ერთწლოვანი კულტურები (კარტოფილი, კომბოსტო, ხახვი, ჭარხალი და სხვა) წარმოებულ იქნა 2,9 ათას ჰექტარზე, მარცვლოვნები (ხორბალი, ქერი, შვრია და სიმინდი) 2,1 ათას ჰექტარზე და პარკოსნები 0,17 ათას ჰექტარზე.

ქალაქი ახალციხე წარმოადგენს საუნივერსიტეტო ქალაქს, აქვე ფუნქციონირებს პროფესიული კოლეჯი, რაც ბიზნეს ინკუბატორის შექმნის შესაძლებლობას იძლევა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ახალი ბიზნეს-იდეების გენერირებას და დამწყები ბიზნესის განვითარებას.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლადაა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული თავისუფალი ქონებებიც, დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში გარკვეული ქონებების გადმოცემა ხდება მუნიციპალიტეტზე, ხოლო აღნიშნული მიწებით კერძო სექტორის დაინტერესების შემთხვევაში ხდება მუნიციპალიტეტისა და განმკარგავ უწყებას შორის შესაბამისი კომუნიკაცია.

6.6. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო: საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის კომპეტენციები საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს განსაზღვრისთვის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისა და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების ჭრილში საკმაოდ შეზღუდულია და ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციას წარმოადგენს.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი წარმოადგენს დამოუკიდებელ თვითმმართველ ერთეულს. არსებული 6 გადასახადიდან მხოლოდ ერთი - ქონების გადასახადია ადგილობრივი სახის. თვითმმართველობის კომპეტენციაში შედის ქონების გადასახადის განაკვეთის განსაზღვრა, კანონმდებლობით დაწესებული ზღვრის არაუმეტეს 1%-ისა.

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება ადგილობრივი მოსაკრებლების დაწესება და მათი განაკვეთის განსაზღვრა. დღეისთვის ახალციხის მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოქმედებს 4 ადგილობრივი მოსაკრებელი, რომელთა ადმინისტრირებაც ხდება ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებების მიხედვით. ეს მოსაკრებლებია: 1. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) ნებართვის; 2. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების; 3. სათამაშო ბიზნესის; 4. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების.

ბიზნეს გარემოს შეფასების კვლევების თანახმად, კერძო კომპანიებს სამთავრობო უწყებებთან ურთიერთობის პრობლემა ნაკლებად აქვთ. ძირითად გამოწვევას წარმოადგენს მომსახურების პერიოდი.

მიმდინარე ეტაპზე ახალციხის მუნიციპალიტეტი მოკლებულია შესაძლებლობას შეიმუშაოს მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი

გახდება დამუშავდეს ცალკეული ტერიტორიების განვითარების ჩარჩო გეგმები. აღნიშნული საშუალებას მისცემდა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას ინსტიტუციურად დახვეწოს და ერთგვაროვანი პრაქტიკა დანერგოს ურბანულ საკითხებთან დაკავშირებული სანებართვო პროცედურებისა და ზოგადი პოლიტიკის თვალსაზრისით.

კერძო სექტორისთვის ერთ-ერთ სირთულეს წარმოადგენს მუნიციპალურ ქონებასთან დაკავშირებული აუქციონების დროში გაწერილი პროცედურები. პრობლემის გამოსწორების მიზნით დაგეგმილია მუნიციპალური ქონების აღრიცხვის და ვებ-გვერდზე განთავსების პროექტი, რაც გაამარტივებს და დროში დააჩქარებს დღეს არსებულ პროცედურებს.

6.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი, ჩართულობა: მიუხედავად იმისა, რომ ქალაქ ახალციხეში მოქმედებს პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, საგანმანათლებლო სისტემა არ პასუხობს ბიზნეს სექტორის რეალურ საჭიროებებს. მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პირობებში მოთხოვნა მომსახურე პერსონალზე და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე დიდია. მაღალმოთხოვნადია აგრეთვე უცხო ენების მცოდნე გიდები, სხვადასხვა მიმართულების ინჟინრები, მზარეულები, ვეტერინარები, ფინანსისტები, იურისტები და სხვა კადრები. ფაქტობრივად მოთხოვნაა კვალიფიციურ კადრებზე თითქმის ყველა სექტორში, თუმცა იმის გამო, რომ ადგილობრივ შრომის ბაზარზე დაბალია შრომის ანაზღაურება (2018 წელს დაქირავებით შრომის ანაზღაურების საშუალო ოდენობა შეადგენდა 650,00 ლარს, რაც წინა წელთან შედარებით თითქმის 15-20%-ითაა გაზრდილი) მუნიციპალიტეტიდან შრომისუნარიანი და კვალიფიციური კადრები გადინებულია მეზობელ მუნიციპალიტეტებში, რეგიონის ცენტრში და მსხვილ ურბანულ ქალაქებში.

სამშენებლო საქმიანობით დაკავებული სუბიექტების გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა მათი მაღალი მოთხოვნა ტექნიკურ და საინჟინრო სპეციალობის მქონე კადრზე, მაღალია მოთხოვნა კვალიფიციურ მომსახურე პერსონალზე სტუმრობისა და რესტორნებში.

ყოველივე ზომოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ კერძო სექტორში არსებულ მოთხოვნასა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიწოდებას შორის აშკარაა აცდენა, რომელი აცდენის შემცირებისკენ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება იქნას აღქმული ერთიანი საკოორდინაციო ორგანოს შექმნა მუნიციპალიტეტის მიერ რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესის მოთხოვნებისა და საგანმანათლებლო სისტემის მიწოდების სინქრონიზაციას.

6.8. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი: მუნიციპალიტეტი მიმზიდველ ადგილად ითვლება ტურისტული და ინვესტირების თვალსაზრისით. რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით. ადგილმდებარეობის ფაქტორი მნიშვნელოვანია არსებული ბიზნესის გაფართოებისა და ახალი ბიზნეს კომპანიების მოზიდვისთვის. ბოლო 5 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციამ მსხვილი ინვესტიცია განახორციელა მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებაში, ფიზიკური და ბუნებრივი გარემოსა და ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის, როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ ვიზიტორთა მთავარ სამიზნეს წარმოადგენს „ახალციხის ციხე“, აქვე განთავსებული მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და მუნიციპალიტეტში მრავლად არსებული სხვადასხვა ხუროთმოძღვრული ძეგლები. „ახალციხის ციხის“ ადმინისტრაციის მიერ რეგულარულად ხდება სტუმრად მყოფი უცხოელი ტურისტების გამოკითხვა თუ რის ნახვას ისურვებდნენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მათ მიერ გაცემული პასუხები მრავაფეროვანია, სადაც დომინირებს სურვილი იმისა რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ განავითაროს მეტი ტურისტული ინფრასტრუქტურა, დასასვენებელი პარკები, საფენმავლო ბილიკები, ტურები ექსტრემალური ტურიზმის მოყვარულთათვის.

მუნიციპალიტეტის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს სხვადასხვა ინტერესების მქონე ტურისტული ნაკადების დაინტერესება. მუნიციპალიტეტში არსებული მოტო მოყვარულების მიერ ინიცირებულია საპროექტო იდეა რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული სპორტის სახეობისა და ექსტრემალური ტურიზმის ერთობლივი განვითარებას.

კერძო სექტორთან ერთად გამოვლენილია მუნიციპალიტეტის პოზიციონირებაზე მოქმედი უარყოფითი ფაქტორები, ისეთები როგორცაა: ქალაქში ამორტიზირებული საკანალიზაციო სისტემა, ქალაქ ახალციხის ცენტრალური წყალმომარაგების სისტემა, მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფარის არ არსებობა რაც ქალაქი ახალციხეში მრავლად მყოფ ტურისტს დისკომფორტს უქმნის.

7. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ol style="list-style-type: none"> 1. ხელსაყრელი ბიზნეს გარემო; 2. სტრატეგიული მდებარეობა; 3. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიმრავლე; ტურისტული ობიექტების მრავალფეროვნება და სიმრავლე; 4. მრავალფეროვანი ლანდშაფტი, სათავგადასავლო და პილიგრიმული ტურიზმის განვითარებისთვის საჭირო პირობების არსებობა; 5. ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის არსებობა; 6. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების და გასაღების პირობები; 7. თავისუფალი სასოფლო-სამეურნეო მიწები და ინფრასტრუქტურა; 8. ტრადიციული ხალხური რეწვის კერების სიმრავლე; 9. საფინანსო ინსტიტუტების მრავალფეროვნება; 10. უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების არსებობა; 11. გამჭვირვალე და კორუფციისგან თავისუფალი ადმინისტრაციის პრაქტიკის არსებობა; 	<ol style="list-style-type: none"> 1. კვალიფიციური მუშახელის სიმცირე; 2. პროფესიული მომზადების არასათანადო დონე; 3. მომსახურების სფეროს დაბალი ხარისხი (განსაკუთრებით ტურიზმთან დაკავშირებულ ბიზნესში); 4. ინტერნეტ და სხვა რესურსების არაეფექტურად გამოყენება მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციის მიზნით; 5. მუნიციპალიტეტში არსებული საინვესტიციო პოტენციალის შესახებ ინფორმაციის დაბალი ხარისხი; 6. ინვესტორებთან მუშაობის გამოცდილება; 7. ქალაქის მიწათსარგებლობის გენ-გეგმის არ არსებობა; 8. არასტაბილური ქსელური თანამშრომლობის პრაქტიკა 9. ბიზნესის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური პროექტების არ არსებობა 10.
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ol style="list-style-type: none"> 1. ახალციხის ტურისტულ ჰაზად განვითარების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამები; 2. ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამები; 3. რეგიონული მასშტაბის ლოჯისტიკური ცენტრის განვითარების სახელმწიფო პროექტები; 	<ol style="list-style-type: none"> 1. COVID 19-და სხვა პანდემიები; 2. შრომისუნარიანი და კვალიფიციური კადრების გადინება; 3. ბუნებრივი მოვლენები

ახალციხის წინაშე არსებული გამოწვევების საპასუხოდ, ძლიერი მხარეების მაქსიმალური გამოყენებით აქცენტი უნდა გაკეთდეს შიდა ტურიზმზე. საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით საჭირო იქნება ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესისა და ბიზნესის დაწყების მსურველების უნარების გაძლიერება. საჭირო იქნება ადგილობრივი ბიზნესების დახმარება გაყიდვებში მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული ღონისძიებებისა და კავშირების საშუალებით.

8. ხედვა და მიზნები

ახალციხის მუნიციპალიტეტი განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურითა და დივერსიფიცირებული მეწარმეობით მიმზიდველი ადგილია სტუმრობის, სამუშაოდ და ბიზნესის საკეთებლად

ხედვა გრძელვადიანია. სასურველ შედეგს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის, ადგილობრივი კერძო სექტორისა და სამოქალაქო ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევა დასჭირდება, მისი მიღწევა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ორწლიან პერიოდს მნიშვნელოვნად გასცდება.

მიზნები:

1. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება;
2. ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია;
3. სამეწარმეო უნარების განვითარება.

9. სამოქმედო გეგმა

თემატური ბლოკები	ძირითადი მიზნები	ქმედებები/ პროექტის იდეები	ხანგრძლივობა (დაწყება/ დამთავება)	მონაწილე პარტნიორები	სავარაუდო ღირებულება (ეროვნულ ვალუტაში & ევროს ეკვივალენტი)	მყისიერი შედეგი (პროდუქტი) ინდიკატორები და მიზნები	საბოლოო შედეგი/ ინდიკატორები და მიზნები
ინფრასტრუქტურის განვითარება	1. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება	1.1. ქ. ახალციხეში საფეხმავლო ბილიკების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაცია	05.2020-05.2022	მუნიციპალიტეტი; საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	1 500 344 ლარი 535 837 ევრო	ქ. ახალციხის 16 ქუჩა რეაბილიტირებულია	კეთილმოწყობილი ქუჩები ქუჩების გასწვრივ მდებარე ბიზნესების შემოსავლები გაზრდილია 5%-ით.
		1.2. მუნიციპალიტეტი ს ტერიტორიაზე ახალი სკვრებისა და პარკების მოწყობა.	06.2020-06.2022	მუნიციპალიტეტი	295 000 ლარი 105 357 ევრო	მოეწყობილია 6 სკვერი/პარკი.	ტერიტორია მიმზიდველია ტურისტული ობიექტების მოწყობისათვის.
გარე პოზიციონირება და მარკეტინგი	2. ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია	2.1. ხალხური რეწვის ოსტატების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.	08.2020-05.2022	მუნიციპალიტეტი; ხალხური რეწვის ოსტატები.	80 000 ლარი 28 571 ევრო	ჩატარებულია ხალხური რეწვის ნამუშევრების 2 გამოფენა-გაყიდვა.	გაზრდილია რეწვის ოსტატების შემოსავლები 10%-ით
		2.2. ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა.	07.2020-05.2022	მუნიციპალიტეტი; ადგილობრივი პროდუქციის მწარმოებლები	70 000 ლარი 25 000 ევრო	ჩატარებულია ადგილობრივი პროდუქციის 2 გამოფენა-გაყიდვა.	ადგილობრივი პროდუქციის მწარმოებელთა შემოსავლები 15%-ით
უნარების და ადგილობრივი კაპიტალის განვითარება;	3. სამეწარმეო უნარების განვითარება.	3.1. დაინტერესებული პირების ტრენინგები ბიზნესის საფუძვლებში	05.2020-05.2022	მუნიციპალიტეტი;	72 000 ლარი 25 714 ევრო	გადამზადებულია 50 პირი	10 გადამზადებულმა დაიწყო ბიზნესი დანერგონ თეორიულად ნასწავლი მეთოდები და სისტემები.

წვდომა ფინანსებზე		3.2. მცირე გრანტების გაცემა	05.2021- 05.2022	მუნიციპალიტეტი ადგილობრივი მცირე ბიზნესი	100 000 ლარი 35 714 ევრო	კონკურსის საფუძველზე შერჩეულია და დაფინანსებულია 10 საუკეთესო.	შექმნილია 20 ახალი სამუშაო ადგილი
----------------------	--	--------------------------------	---------------------	--	---------------------------------	--	--------------------------------------

10. დაფინანსების სქემა

ქმედებები	სავარაუდო ღირებულება	დაფინანსების წყარო				დანაკლისი დაფინანსებაში	შენიშვნ ები
		ადგილობრივი ბიუჯეტი	მაღალი დონის ბიუჯეტი	ბიზნესი	დონორები		
1.1. ქ. ახალციხეში საფეხმავლო ბილიკების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაცია	1 500 344 ლარი 535 837 ევრო	75 018 ლარი 26 792 ევრო	1 425 326 ლარი 509 045 ევრო				
1.2 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი სკვრებისა და პარკების მოწყობა.	295 000 ლარი 105 357 ევრო	295 000 ლარი 105 357 ევრო					
2.1. ხალხური რეწვის ოსტატების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.	80 000 ლარი 28 571 ევრო	80 000 ლარი 28 571 ევრო					
2.2. ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა.	70 000 ლარი 25 000 ევრო	60 000 ლარი 21 429 ევრო		10 000 ლარი 3 571 ევრო			
3.1. დაინტერესებული პირების ტრენინგი ბიზნესის საფუძველში	70 000 ლარი 25 000 ევრო	60 000 ლარი 1 429 ევრო		10 000 ლარი 3 571 ევრო			
3.2. მცირე გრანტების გაცემა.	100 000 ლარი 35 714 ევრო	80 000 ლარი 28 571 ევრო		20 000 ლარი 7 143 ევრო			
ჯამი	2 115 344 ლარი 755 480 ევრო	650 018 ლარი 232 149 ევრო	1 425 326 ლარი 509 045 ევრო	40 000 ლარი 14 285 ევრო			

11. ქმედებების შიდა მონიტორინგის გეგმა

ქმედება	დაწყება- დასრულება	მოსალოდნელი შედეგები 1-6 თვე	მოსალოდნელი შედეგები 6-12 თვე	მოსალოდნელი შედეგები 12-18 თვე	მოსალოდნელი შედეგები 18-24 თვე
---------	-----------------------	---------------------------------	-------------------------------------	--------------------------------------	-----------------------------------

1.1. ქ. ახალციხეში საფეხმავლო ბილიკების და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მიმდებარე მოწყობა-რეაბილიტაცია	05.2020-05.2022	დაზუსტებულია სამუშაოს განხორციელების პროექტი.	სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად შერჩეულ მომწოდებელთან გაფორმებულია ხელშეკრულება.	დასრულებულია 8 ქუჩის რეაბილიტაცია	დასრულებულია 16-ვე ქუჩის რეაბილიტაცია
1.2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი სკვებისა და პარკების მოწყობა	05.2021-05.2022	დაზუსტებულია სამუშაოს განხორციელების პროექტი.	სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად შერჩეულ მომწოდებელთან გაფორმებულია ხელშეკრულება.	დასრულებულია 3 სკვერი/პარკის მოწყობა	დასრულებულია 6-ვე სკვერი/პარკის მოწყობა
2.1. ხალხური რეწვის ოსტატების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.	05.2020-05.2022	დაზუსტებულია გასამართი ღონისძიების გეგმა.	ჩატარებულია 1 გამოფენა-გაყიდვა.	ჩატარებული გამოფენა-გაყიდვის შედეგებიდან გამომდინარე შემუშვებული ახალი გეგმა	ჩატარებულია 2-ვე გამოფენა-გაყიდვა.
2.2. ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა.	06.2020-06.2022	დაზუსტებულია გასამართი ღონისძიების გეგმა.	ჩატარებულია 1 გამოფენა-გაყიდვა.	ჩატარებული გამოფენა-გაყიდვის შედეგებიდან გამომდინარე შემუშვებული ახალი გეგმა	ჩატარებულია 2-ვე გამოფენა-გაყიდვა.
3.1. დაინტერესებული პირების ტრენინგი ბიზნესის საფუძვლებში	08.2020-05.2022	სსიპ „სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან“ თანამშრომლობით ჩატარებულია მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებათა კვლევა, რის საფუძველზეც შემუშვებულია სასწავლო პროგრამა.	სასწავლო პროგრამის მიხედვით გადამზადებულია 10 დაინტერესებული პირი.	სასწავლო პროგრამის მიხედვით გადამზადებულია 20 დაინტერესებული პირი.	სასწავლო პროგრამის მიხედვით გადამზადებულია 20 დაინტერესებული პირი. და სისტემებს.

3.2. მცირე გრანტების გაცემა.	07.2020- 05.2022	მომზადებულია მცირე გრანტების კონკურსის პირობები.	ჩატარებულია საგრანტო კონკურსი.	დაფინანსებულია საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 10 პირები	შექმნილია 20 სამუშაო ადგილი
------------------------------	---------------------	--	-----------------------------------	---	--------------------------------